სამაგისტრო პროგარამაზე „არქიტექტურა“ ჩაბარების მსურველთათვის მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდის მოთხოვნები

სამაგისტრო პროგრამა "არქიტექტურაზე" ჩარიცხვის მსურველები, მაგისტრატურის საერთო ეროვნული გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, აბარებენ სასპეციალიზაციო გამოცდას სტუ–ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის შესაბამის კომისიასთან.

მაგისტრატურაში მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდა მოიცავს ორ კომპონენტს: პრაქტიკულს - კლაუზურა-პროექტს და პროექტის განმარტებით ბარათს. თითოეული კომპონენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

სასპეციალიზაციო გამოცდის შეფასების მისაღებად თითოეულ კომპონენტის შეფასების ქულას მიეყენება შესაბამისი კოეფიციენტი (განმარტებით ბარათს 0,3 – კლაუზურას 0,7) და იკრიბება.

კლაუზურის შემადგენლობა და მისი შეფასების კრიტერიუმები:

1. **გენგეგმა** - 25 ქულა - შეფასების გრადაცია:

0-10 ქულა - სამანქანო გზებისა და პარკირების საკითხის გადაწყვეტა, - ფეხმავალთა კავშირების დაგეგმარება

0-10 ქულა - საპროექტო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა: ურბანული ავეჯი, განათების ელემენტები.

0-5 ქულა - გრაფიკული შესრულება

მოცემულობიდან გამომდინარე შესაძლებელია ქალაქგეგმარებით ნაწილში განისაზღვროს ფუნქციური ზონის სახეობები, ქალაქგეგმარებითი პარამეტრები.

2. **გეგმები** - 25 ქულა - შეფასების გრადაცია:

0-10 ქულა - ფუნქციური ზონირება (გეგმარება. ღერძები, ზომები საკადასტრო საზღვრები,)

0-10 ქულა - კონსტრუქციული გადაწყვეტა

0-5 ქულა - გრაფიკული შესრულება

3. **ფასადები და ჭრილები** 25 ქულა - შეფასების გრადაცია:

0-10 ქულა - ინფორმაციულობა (ღერძები, ზომები, ნიშნულები, კონსტრუქციული სისტემა, საკადასტრო საზღვრები, მოსაპირკეთებელი მასალები)

0-10 ქულა - არსებული და საპროექტო რელიეფის ჩვენებით

0-5 ქულა - გრაფიკული შესრულება

4. **აქსონომეტრიული ან პერსპექტიული ჩანახატები (ექსტერიერი, ინტერიერი)** 25 ქულა - შეფასების გრადაცია:

0-15 ქულა - მოცულობის (ექსტერიერის) კონცეპტუალური გადაწყვეტა

0-5 ქულა - ძირითადი სივრცის ინტერიერი

0-5 ქულა - გრაფიკული შესრულება

კლაუზურის განმარტებითი ბარათის შემადგენლობა და მისი შეფასების კრიტერიუმები:

ტექსტურ ნაწილში აღწერილ უნდა იყოს:

1. **კონცეფცია** - მკაფიოდ უნდა იყოს განმარტებული პროექტის ძირითადი იდეა და ამოცანა. კონცეფცია უნდა აღწერდეს პროექტის მიზნებს, სივრცის ფუნქციას და იმ შეზღუდვებს, რომელთა თანახმადაც იქმნება პროექტი – 25 ქულა
2. **არქიტექტურულ-მხატვრული სახე** უნდა იყოს ორიგინალური, შესაძლოა ინსპირაციის წყაროს აღწერა.– 25 ქულა.

3. **გენგეგმის ნაწილში** აღიწერება სამანქანო გზების გაბარიტები, კავშირები და პარკირების არეალები, ფეხმავალთა ძირითადი მიმართულებების ჩვენებით – 25 ქულა.
4. **სტრუქტურული აგების თავისებურებანი**, გამოყენებული არქიტექტურულ-კონსტრუქციული სისტემა, შესაბამისი კონსტრუქციული სქემა. გამოყენებული მასალების აღწერა– 25 ქულა.

21-25 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; სპეციალური ტერმინოლოგია დაცულია; მაგისტრანტობის კანდიდატი ზედმიწევნით კარგად ფლობს მასალას;

16-20 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; მაგისტრანტობის კანდიდატი კარგად ფლობს მასალას;

11-15 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; სპეციალური ტერმინოლოგია ნაკლოვანია; მაგისტრანტობის კანდიდატი ფლობს მასალას;

6-10 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ;

1-5 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; სპეციალური ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები;

0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.